№ 161 ივლისი 28, შაბათი 1890 ივლისი 28, შაბათი № 161

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ტუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარსევანოვის ძველის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზე.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

გაზეთი „ივერია“ პირველის აგვისტოდგან წლის დამლევამდე ღირს 5 მან. და 50 კაპ.

## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

## ახალი ამბავი

*** კვირას, ივლისის 29, ტფილისის ხელოსნები შვეიცარიის ბაღში აპირობენ წარმოდგენის გამართვას წინამძღვარიანთ-კარის სკოლის სასარგებლოდ. ითამაშებენ ორ მოქმედებიან კომედიას „პაიყუშს“ ა. ცაგარლისას და ან. ფურცელაძის „ავაზაკნი“-დგან მეორე და მეხუთე მოქმედებას.

*** ამას წინად ჩვენ შეცდომითა გვქონდა გაზეთში გამოცხადებული, რომ გაზეთი «Кавказъ»-ი ერთის წლით ბ-ნს ოპოჩინინს გადაეცაო, 1891 წლიდგან 1892 წ. ეს გაზეთი, როგორც 24 ივლისს უცნობებია აწინდელ რედაქტორის ბ ნ ტებენკოვისთვის მთავარ-მართებლის კანცელარიას, 1892 წლამდე ისევ ტებენკოვის ხელში იქნება. ამ ერთის წლის განმავლობაში კანცელარიასთან ამოირჩევა განსაკუთრებული კომისია და იმ კომისიას მიენდობა ამ გაზეთის სპეციალურ პროგრამის შემუშავება და აგრეთვე იმის გადაწყვეტაც, რომ ოფიციალურ გაზეთად ვაქციოთ და რედაქტორი მთავრობისაგან ინიშნებოდეს, თუ არაო.

*** ჩვენ ამას წინად გაზეთში გვქონდა ნათქვამი, რომ ესებუა კვირას, 29 ივლისს, ჰიდაობას გაჰმართავს „წერა-კითხვის საზოგადოების“ სასარგებლოდაო. როგორც ეხლა შევიტყვეთ, ეს ჰიდაობა ესებუას იქით კვირიისათვის გადაუდვია, რადგან საჰიდაო ბაღი მომზადებული და სრულად მომართული არ არისო.

*** მცხეთა: 22 ივლისს სოფელ ცხვარიჭამიაში დღეობა იყო. გლეხკაცობამ ჩვეულებისამებრ იმ დღეს კარგა ილხინა. ბოლოს ნასვამობის გამო ორს გლეხს, იოსებ ალბექაანს და გიორგი გოგოჩურს ახირება მოუვიდათ რაღაზედაც. მალე ლაპარაკი ჩხუბათ გადაიქცა და პირველმა დაჰკრა მეორეს კეტი თავში და იქვე სული გააფრთხობინა. საქმე გამოძიებაშია ჩავარდნილი.

*** მეჯვრისხევი: ის კაცი, რომელმაც თავი ჩამოირჩო 22 ივლისს, სახელდობრ გიგო როსტომის ძე მახათაძე, იყო უკუღმა-სოფლის მცხოვრებელი და არა მეჯვრის-ხეველი, როგორც შეცდომით არის თქვენს გაზეთში მოხსენებული. გორის მაზრის უფროსის განკარგულებით ამ საქმის გამო უკვე გამოძიებაა დანიშნული.

*** ახალქალაქი: სოფელ ფათხანში შემდეგი სარომანო ამბავი მოხდა: 9 ივლისს მიეპარნენ ღამე ბარხუდარ მამედ-ოღლის სახლს სოფელ გურჯაანის მცხოვრებნი: ალი-ზეინაბ-ოღლი, მუსტაფა ქაჯა-ოღლი და ფათხანელები: ალახ-იარიმ ბარხუდარ-ოღლი და ველი ბაირამ-ოღლი, აანგრიეს ბანი, ერდოდამ ჩავიდნენ შიგ და გაიტაცეს ფატმან ალლახ ვერდის ქალი, რომელიც ჯერაც არ იციან, სად წაიყვანეს და სად არა. დამნაშავეთა შორის შეპყრობილია მხოლოდ ალახ იარიმ ბარხუდარ ოღლი და ველი ბაირამ ოღლი. ესენიცა და ის სათვალ-და-თვალო საბუთები მათის ბრალეულობისა, რომელიც ადგილობრივვე დარჩათ, გადაეცა ახალქალაქის გამომძიებელს ამ საქმის გამოსარკვევად.

*** თელავი: 12 ივლისს გაჰქურდეს აქ სომეხთ მღვდელი ტერ-სარქის ტერ-სარქისოვი. ქურდს გაეტეხნა კარი და ისე შესულიყო მღვდლის სახლში, როცა სახლის პატრონი სხვაგან გაეგულებინა. დაკარგული აღმოჩნდა ვერცხლეულობა, ასე ოც-და-ათის თუმნისა. ცოტა რამ ამ დანაკარგისა პოლიციამ უკვე იპოვა და პატრონს დაუბრუნა. პოლიციამვე შეიპყრო ბრალდებული შალაურელი გლეხი სანდრო ციგნაძე, რომელიც ეხლა უკვე გამომძიებლის ხელშია.

*** იყალთო (თელავის მაზრა): იყალთოელმა გლეხმა მიხა პეტრეს ძემ მრელაშვილმა ცეცხლი წაუკიდა მტრობით რუისპირელ გლეხის სოლომონ ბაბუკაშვილის ძნას, რომელიც ურმით ედგა და მისცა 35 მან. ზარალი. დამნაშავე იქვე შეიპყრეს და საქმე გამოძიებაშია ჩავარდნილი.

*** ბორჩალო: პატარა მეღანლოში, 19 ივლისს, სპარსეთის ქვეშევრდომმა მირზა იბრაჰიმ მირზა ისმაილ-ოღლიმ ხელსახოცი შემოახვია მაგრად ყელზედ თავის ცოლს ხოშრან-ასან-კიზის და დაარჩო. შემდეგ დაჰკეტა კარები სახლისა და გაიპარა. ამ საქმის გამო გამოძიება სწარმოებს.

*** ბორჩალოდამვე: ჩვენსკენ ისე დღე არ გავა, რომ ახირებული ამბავი არა მოხდეს რა: ან თოფი არავის დაახალონ, ან ხანჯლით არავინ დასჭრან, ან ქურდობა არ მოხდეს, ან არავინ არ მოიტაცონ. ვგონებ ზღაპრებშიაც არ არის ის ამბები, რაც აქა ხდება. 19 ივლისს შემდეგი, რომანის დამწერისათვის საყურადღებო, ამბავი მოხდა სოფელ კიზილ-აჯლოში: როცა ამ სოფლის მცხოვრები მიქელ-უსუფ-ოღლი დაბრუნდა მინდვრიდამ სახლში, ჰნახა, რომ მისი ცოლი და ნამაზ-ახვერდი-ოღლი ერთად განისვენებენ და არიან განცხრომაში. მიქელმა და მისმა შვილმა იძრეს ხანჯალი და დაუშინეს, მაგრამ ნამაზმა მალე უშველა თავს და გაიქცა.

*** სიღნაღი: შარშან ივნისში ჩვენმა მაზრის უფროსმა სთხოვა ხელმწიფე იმპერატორს, მცხოვრებთა სურვილისამებრ, რომ სიღნაღის ზემო მეიდანს მიეთვისოს სახელწოდება „ალექსანდრეს მეიდნისა“ და აშენდეს ზედ ნიში სახსოვრად მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა ყოფნისა ჩვენს ქალაქში. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება და შეიწყნარა შუამდგომლობა მაზრის უფროსისა წელს, 4 ივნისს, და უმაღლესი ბძანება ესე უკვე ეცნობა მაზრის უფროსს ამ დღეებში შესაბამის განკარგულებისათვის.

*** დუშეთი: ამ თთვის 19 შემდეგი სარომანო ამბავი მოხდა ჩვენის მაზრის ერთ-ერთ სოფელში, სახელდობრ ხიდაში. ხიდელს გლეხს დიმ. კირმლელს ჰყავს ერთი ლამაზი გასათხოვარი ქალი მარიამ, რომელზედაც გული შეჰვარდნია დავათელ ახალგაზდა გლეხს სოსიკა ვარდიშვილს. ვარდიშვილს ბევრნაირად უცდია მარიამის შერთვა ცოლად, მაგრამ ვერას გზით ვერ მოუხერხებია. მოთმინებიდამ გამოსულს ვარდიშვილს განუზრახავს მოტაცება ქალისა და ამ აზრით შეუკრებია შეიდიოდე თავისი ტოლი ბიჭები, ჩაუსხავს იარაღში და წაუყვანია საქმისა საგმიროსათვის. პატარა ლაშქარი დაბანაკებულა სოფელ ხიდას წყაროს ახლო, ადგილსა ერთსა უჩინაროსა. და აი როცა მარიამ ქალი ჩამოსულა წყაროზე წყლის ასავსებლად, ჩასაფრებული ლაშქარი დასცემია თავს და გაუტაცნია მწყერივით გულ-გახეთქილი ქალი. სოფელში შესდგა ერთი ჩოჩქოლი და ვაი-ვაგლახი. ქალის მამა დაფაცურდა, შეაიარაღა თავის მეზობლები, მოიშველია მამასახლისი საქრამულოს საზოგადოებისა თავის კაცებით და გამოუდგა მდევრად. ქალის მომტაცველთ იფიქრეს, რომ საქმე ცუდად არისო, და განუტევეს ქალი ტყეში იმ ალაგას, რომელსად „კუნელაურს“ ეძახიან. თვითონ-კი გაიფანტ-გამოიფანტნენ. დამნაშავეთა შორის ხუთნი დაჭერილნი არიან. ოქმი მათ შესახებ შემდგარია და საქმეც დუშეთის გამომძიებელსა აქვს გადაცემული.

*** არდანუჯში მისულან ი. მ. მეუნარგია და მღვდელი თალაქვაძე ბათუმის და ართვინის მაზრის ძველ

## ფელეტონი

### დღიური ბიძია თომასი

აპრილი

„ხომ წესია ბუნებისა — მსგავსი მსგავსს ეძებს“.
შექსპირი

IV

თუნდ ხატზედა და ჯვარზედ დავიფიცავ, რომ თქვენ არ იცნობთ ქეთევან იაკინთეს ასულს პატარიძისას. არა, ღმერთმანი, რომ არ იცნობთ პირადად, და თუ პირბადეს ავხსნი ამ ჩემს ქეთევანას, მაშინ-კი გულის ფანცქალით მეტყვით: ვაი შენ, ჩემო თავო, მაგას ხომ ყოველ დღე ვხედავო. საქმეც ის არის, რომ ყოველ დღე ვხედავთ და მანამდის პირბადე არ ავხსენით, ყურადღება არ ათხოვეთ.

ჩვენს ქეთევანა იაკინთოვნას, ასე უწოდებს თავის თავსა, ერთმა ენა მახვილმა ახალგაზდამ მეტ სახელად უწოდა აპრილია მარტოვნა. დაუდეგარია, მართლა, როგორც მარტი, ცრუ, ცრუ, რომ ღმერთს არ დაუბადნია, და რა-კი აპრილი მოტყუებისა და ცრუობის თთვედ არის მიჩნეული, ამიტომაც უწოდეს „აპრილია მარტოვნა“. ხალხში დღესაც დარჩენილია ამბად, რომ ღმერთმა ორი სიცრუის გუდა გადმოაგდო ქვეყანაზედ ზეციდამო; ერთი ჰაერშივე დაიფუქა და სიცრუევე მთელს ქვეყანას მოედო; მეორე გუდამ იტრიალა, იტრიალა და ბევრის ჰოქმანის შემდეგ იაკინთე დოლლაძის ბანში შელაპანი ჩაიტანაო; მას აქეთ დაიბუდა იმათს ოჯახში სიცრუემაო. გუდა ჩავარდა, თუ არ ჩავარდა იაკინთეს ბანში, ამისი რა მოგახსენოთ, რა ჩვენი საქმეა ამისი კვლევა-ძიება; მხოლოდ ის-კი უტყუარი და მართალზედ-მართალია, რომ დოლლაძის გვარი გათქმულია სიცრუითა და ტრაბახით.

იაკინთე კარგი მამულის აზნაურშვილი გახლდათ; იმისი პაპა განთქმული იყო თურმე ომებში და მეფესაც ჯილდოდ მამულ დედული ეწყალობებინა ვილაც ამოწყვეტილის კაცისა. იაკინთე ბატონ-ყმობაში აიზარდა; თითქმის შუა-კაცად იყო, როცა ყმები ჩამოართვეს. საშინელს კაცს ამბობდნენ განსვენებულს იაკინთესა. ახალუხა, დიდ ძველებურ ხანჯლით წელზედ იწვა ხოლმე თურმე თავის სახლების გრძელ აივანზე, სადაც თავის ყალიბის ტახტი ედგა; პირში ეჩარა გრძელი და მსხვილი ჩიბუხის ტარი ბალის ხისა, რომლითაც არა ერთხელ ჩაუმტვრევია კბილები საბრალო ყმებისათვის. იაკინთე, როგორც ამბობენ, ძალიან მშვენიერი სახის კაცი, ერთობ ბრგე და წამოსადეგი ყოფილა; წარბი თურმე ჰქონდა ჯილა, ხშირი; წარბებს შუა, ცხვირსა და შუბლს შორის, დაგრეხილი, მაღალი ბალნები ჰქონდა თურმე ამოსული. თითქოს ხატისათვის სანთლები მიუკრავთ, ისე გადმოსცქეროდა ეს კონა ბალნისა ძირს პირისახის არე-მარეს; ცხვირის წვერზედ სწორედ სამად-სამი მაღალი, ჯაგარსავით მსხვილი და უმსგავსი ბეწვი თურმე ება. თუ ჩვენს დროში ბისმარკის სამი ბეწვი იყო და არის ევროპაში სალაპარაკოდ, იაკინთეს დროსაც, ასე ამ ორმოცის წლის წინად, იმისი ცხვირის სამი ბეწვი იყო სალაპარაკო; ეს ჯილა წარბები და სამი ბეწვი ცხვირზედ საშიშრად თურმე ხდიდნენ იაკინთესა. იაკინთეს ერთი ცუდი ზნე სჭირდა: ქალები ძალიან უყვარდა, იმის მრუშობას, იმის სიძვაობას საზღვარი არა ჰქონდა; ხალხი სიცრუესაც უთმენდა, ჩიბუხის ტარით კბილების ჩამტვრევასაც, მაგრამ ეს-კი ველარ მოუთმინეს და ზედ წააკლეს თავისს უზნეო ქცევას. სამის ცოლიდგან დარჩა იაკინთეს ქეთევანი.

უნდა მოგახსენოთ, რომ ქეთევანი ძალიან და ძალიან მარილიანი ქალი დადგა; იმის მსხვილ თვალის კაკლებისათვის რომ შეგეხედნათ, გეგონებოდათ მელნის ტბა აღელვებულა, აზვირთებულა და მისის თვალების ფოსოებში ტრიალებსო. მოგეცათ ღვთის წყალობა, ქეთევანს საქმროები გამოუჩნდა; ამ დღე იმათას სულ ჩარბუზანა ებათ ყმაწვილ ბიჭებს.

ქეთევანის დედა ელისაბედი ძველი ადამიანი იყო; არაფრით არ განირჩეოდა ელისაბედი მათის ბრწყინვალების თავად ლუარსაბ თათქარიძის დარეჯანი აგან. მუდამ კარაბადინს ჩასცქეროდა, დღეში ერთხელ დაუჯდომელს ჩაიკვეხავდა და საღამოს ქამზედ, როცა მშვენიერი ნიავი დაიძვროდა, „ვეფხის-ტყაოსანს“ ჩაუჯდებოდა და გალობის კილოზედ, გძლად და გაბმით მოჰყვებოდა კითხვასა. ქეთევანსაც შინაურულად ასწავლა წერა-კითხვა. ქეთევანი დედას არაფერში არ დაემგვანა, პირ-წავარდნილი მამა იყო სახითა. დედა მისი თუ დარეჯანს წარმოადგენდა, ქეთევანიც, თუმცა სრულებით არა, მაგრამ ცოტაოდნად წააგავს იმავე დარეჯანს, ასე რომ ჩვენ შეგვიძლიან თანამედროვე დარეჯანი ვუწოდოთ. კნეინა დარეჯანსა და თანამედროვე დარეჯანს შორის თუმცა განსხვავებაა, მაგრამ მსგავსებაც დიდი გახლავთ. თანამედროვე დარეჯანს იგივე სული უდგას, იგივე ბუნება აქვს, თითქმის იმავე ნიადაგზედ არის აღმოცენებული, როგორზეც ადრინდელი; თანამედროვე დარეჯანი, ვსთქვათ, თუნდა ჩვენი ქეთევანი, ისევე შურიანი, ჭორიკანა, რძალთან გადამტერებული, შინ უთადარიგო, არაფრის მქონე, მაგრამ ტრაბახა, ისეთივე დაუდევარია, როგორც მათი ბრწყინვალება კნეინა დარეჯანი, ანუ დედა თვით ქეთევანისა, მათი მაღალ-კეთილშობილება ქალბატონი ელისაბედი.

მაგრამ განსხვავებაც-კი დიდია: ეხლანდელს დარეჯანს, ვსთქვათ, აი თუნდა ისევ ჩვენს ქეთევანს, ცოტა რამ განათლების ნახორხლებისათვის ხელი წამოუკრავს და თვალი დაუკრავს, ლოტოს თამაშობს; წიგნის კითხვა ეჯავრება; თავისს ქორწინების სარეცელს არა სჯერდება და ძა-

ეკკლესიების ნაშთების დასათვალიერებლად და ასაწერად. არდანუჯის მახლობლად, სოფ. თანზოთში, შესანიშნავი ხუცური ძველი წარწერა უპოვნიათ, რომელიც ძვირფასი მასალაა თურმე საქართველოს ისტორიისათვის: („ახ. მიმოხ.“)

*** ქუთაისის განყოფილებას კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისას თავის მდივნის ყიფიანისთვის დაუვალებია, ორი ვენახი დაათვალიეროს ს. მაღლაკში. ეხლა, როგორც „კავკაზში“ სწერია, ბ-ნ ყიფიანს ეს ვენახები გაუსინჯავს და ფილოქსერა აღმოუჩენია. ამ ვენახების ვაზები სოფ. ტყაჩირიდგანა ყოფილა მოტანილი, თ. დავით აბაშიძის მამულიდგან.

*** ივლისის 25, პოლიციის მეათე ნაწილის მოხელემ რუზენცოვმა ნახა, რომ მეორე მალაკნების ქუჩაზე სახლის პატრონს სლეპუშკინს ყასაბი სერგო ხარაზოვი მოეყვანა, ჭირიანი ძროხა დაეკვლევინებინა და უნდოდა ხორცი და ტყავი ყასაბისათვის მიეცა. როცა პოლიციელი თავს წაადგა, ყასაბი მაშინვე გაიქცა, მაგრამ პოლიციელი გაეკიდა, შეიპყრო და პოლიციაში წაიყვანა. ამ ხნის განმავლობაში სლეპუშკინმა მოასწრო და დაკლული საქონელი ღრმა ორმოში ჩააგდო. საქონლის პატრონი პასუხის გებაში მისცეს.

*** ამავე დღეს და პოლიციის ამავე ნაწილში ოსმალოს ქვეშევრდომის ბალდასარ ბალდასაროვის პურის საცხობში, რომელიც ანდრიას ქუჩაზე იმყოფება, იპოვნეს 26 მუავე და გამოუმცხვარი პური, წაართვეს და ნადეჟდას ღარიბთა თავშესაფარში გაჰგზავნეს სასუხრედ.

*** პოლიციის მეექვსე ნაწილის მოხელემ დაათვალიერა ამ თვის ოციდგან ოც-და-შვიდამდე მოტანილი საზამთრო და ნესვი და გადააყრევინა 500 გაფუჭებული საზამთრო და 150 ნესვი.

*** ივლისის 26, პოლიციის მესამე ნაწილში, ნაშუადღევის მეორე საათზე, გოლოვინის პროსპექტზე, კოლლეჟსკი სოვეტნიკის სერგეევის სახლს მკურნალის ზენკლევსკის სამზარეულოდგან მეტის-მეტის ლუმელის გახურების გამო, ცეცხლი გაჩნდა ჯერ ლუმელის ლულაში, მერე მოედო სახლის ჭერს, იქიდგან კიდევ ფლიგელზე გადავიდა, საცა სამკურნალოს საბანებელი იყო, და მთლად ალმა დაჰფარა. ცეცხლი გააქრო ცეცხლის მქრობელმა რაზმმა ისე, რომ სხვა სახლებზე აღარ გადასულა. სახლი დაზღვეულია რუსეთის დამზღვეველ საზოგადოებაში 64,000 მანათად, ხოლო მკურნალის ზენკლევსკის ქონება-კი სალამანდრას საზოგადოებაში 6,500 მანეთად. ცეცხლმა სერგეევს შვიდი ათასის მანათის ზარალი მისცა, ხოლო ზენკლევსკისა-კი 6,000 მანეთისა.

*** ამავე დღესვე, პოლიციის პირველს ნაწილში, ქალაქის მკურნალმა მალალაშკილმა პოლიციელისა და ბაზრის ზედამხედველის ისიდორ იოსსავას თანადასწრებით დაათვალიერა სახლის ეზოები, პურის საცხობები, ხორცისა, საჭმლისა და ხილის დუქნები და აღმოაჩინა ოც პოვოსკამდე უვარგისი საზამთრო და ნესვი და ხუთი ფუთი სხვა-და-სხვა ხილეულობა და გადააყრევინა.

# დაბა დ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ახაშენი (კახეთი), 20 ივლისი. ჩვენში ამ ჟამად გაცხარებული მკა ლეწვაა. პურისა და ქერის მოსავალი საშუალოა და ფეტვსა და სიმინდსაც ჯერ-ჯერობით კარგი პირი უჩანს. ვენახებს ბევრი არასხია, მაგრამ რაც არის, საღია. ნაცარი და მილდიუ წელს ძლიერ ნაკლებად ემჩნევა ჩვენს ვენახებს. ვაზის წამლობა შემოიღეს თითო-ოროლა მემამულეებმა თ. ი. რ. ვაჩნაძის შთაგონებითა და ხელ-მძღვანელობით. ნაწამლი ვენახები გაცილებითა სჯობია დანარჩენებს. ბ-ნი ვაჩნაძე ყველა ვენახის წამლობას აპირებდა, მაგრამ, ჩვენდა არა-სასიამოვნოდ, აქაც აღმოჩნდნენ „ბაკურციხული ბაგრატები*)“, რომელნიც უარსა ჰყოფდნენ ვაზის წამლობას. ნეტავი ეხლა მაინც აახილონ თვალი ამ ჯურის ხალხმა და, თუ სიტყვას არ ერწმუნებოდნენ, საქმე მაინც დაინახონ. ვაზის წამლობის სანატრელი შედეგი ისეთი თვალ-საჩინოა, რომ იმის სიკეთის დასამტკიცებლად თვალ-სილუღი კაცისათვის ლაპარაკი მეტად უნდა ჩაითვალოს.

ამ წინა დღეებში აქ მობრძანდა მისი უოვლად უსამღვდელოესობა ალავერდის ეპისკოპოსი ზოსიმონი. მცირე პარაკლისსა და ეკკლესიის დათვალიერების შემდეგ, მათი მეუფება კარგა ხანს ესაუბრა სალხს სამრევლო საეკკლესიო სკოლისა და სამზრუნველოს დაარსებაზე, კვირა-უქმე დღეს ეკკლესიაში სიარულისა და საზოგადოდ ღვთისა, ეკკლესიისა და წირვა-ლოცვის სიყვარულის შესახებ. მათის მეუფების საუბარი მეტად მდაბიო იყო და ყველასთვის ადვილად გასაგები. დიდად გაუკვირდა მათს მეუფებას, როცა მოახსენეს, რომ გარდა კვირა-უქმე-დღეებისა ჩვენ დიდი ხანია გაზაფხულის დადგომიდგან შემოდგომის გასვლამდე ყოველს ორშაბათ დღეს, სამს ხუთშაბათს, ზღუდრობას, ქმეუკობას, ზადიკობას, შვიდ მაისობას და სხ. ვუქმობდით, მაგრამ ჩვენის წინანდელ მღვდლის აქედგან გადაყვანის შემდეგ უქმეები ავვიკრძალეს. ამის შესახებ მათი მეუფება ბევრს ესაუბრა ხალხს და ბოლოს მამასახლისს უბძანა: „შეჰკარე საზოგადოება, შეადგინე განაჩენი და, განაც ასეთი ტეუილი უქმე შეინახოს, დააჯარიმე ეკკლესიის, ან სკოლის სასარგებლოდ პირველად ერთის აბაზით, მეორედ—ორის აბაზით და, თუ არ დაიშალოს, კიდევ მეტითაც, როგორც დაინახავ შესაძლოდაო. ხალხი დიდად ასიამოვნა მათის მეუფების საუბარმა და აღუთქვეს სამრევლო სკოლისა და სამზრუნველოს დაარსება.

მაგრამ სკოლა-კი არა, ღმის თავიც დაგვავიწყოს უწყლობამ. მთელი სოფელი გამოღებულ მგა-ლეწვაშია გართული. წყალი ეხლა ერთი-ორად მეტი გვჭირდება, ვიდრე სხვა დროს და აი სწორედ ეხლა გაგვიფუჭდა ერთად ერთი წყარო, რომლითაც ვსულდგმულობდით მთელი ორი სოფელი: ახაშენი და ველისციხე ერთს თვეზე მეტია, რაც ეს წყარო სრულიად გაფუჭდა და ეხლა სოფელ ჩუმლაყიდგან ვზიდებით წყალს. რაღა თქმა უნდა, რომ ხუთი-ექვსის ვერსის სიშორიდგან წყლის ზიდვა და ისიც მკათათვეში, ამისთანა გაცხარებულ მუშაობის დროს, ასეთ სიცხე პაპანაქებაში, დიდად აწუხებს ხალხს. ამ გაჭირებაში ჩაგვყარა ერთმა წყლის გამყვანმა ოსტატმა. არ ვიცით საიდგან გაჩნდა ეს კაცი მარშან ჩვენს სოფელში. ხალხს არწმუნებდა, რომ ჩემისთანა წყლის გამყვანის ოსტატი მთელ გუბერნიაში არ მოიპოვებაო. აღმოჩნდნენ ისეთნიც, რომელნიც სრულის მჭევრ-მეტყველობით ამტკიცებდნენ, რომ ეს კაცი მართლა სახელ განთქმული ოსტატიაო. ხალხიც მოტყუვდა. იმ კაცს სამოცი თუმანი ნაღდი ფული მისცეს, კომლზე (300 კომლია), თითო დღის მუშა და თითო ქვაბი მარშან მარჩამბის თვეში ოსტატმა სახქაროდ დაასრულა მუშაობა. სულ ერთს თვეზე წყარო მზად იყო, მაგრამ მის მიერ გაკეთებულ წყაროს აუზში ეხლა ერთი წვეთი წყალიც არა სდგას და ამოდენა ხარჯს შემდეგ უწყლოდ ვსხდებით. ნეტავ წინანდელი ოსტატი (კრანი) მაინც არ მოუშალა და, როგორც იყო, იოლად მივდიოდით. ეხლა-კი მეტი აღარა დაგვრჩენია-რა, უნდა მთელი სოფელი აეყარნეთ და სადმე გარდავსახლდეთ ნუ თუ ამისთანა გაჭირებაში ჩავარდნილს მთელს სოფელს არავინ გამოგვიჩნდება პატრონი?!

# რუსეთი

სახელმწიფო საბჭომ უკვე განიხილა საერო განათლების მინისტრის მიერ წარდგენილი პროექტი იმ პრემიების დანიშვნის შესახებ, რომელიც მეურნეობის უკეთესის სახელმძღვანელოების შემდგენელთ უნდა მიეცეს, და შემდეგი დაადგინა: 1891 წლიდგან 7000 მან. გადაიდოს ყოველ წლივ 9 წლის განმავლობაში, პირველის ორის პრემიისათვის ორას-ორასი თუმანი და დანარჩენ 6 პრემიისთვის ოთხმოც-ოთხმოც-და ათი თუმანი. ამასთანავე ასი თუმანი უნდა მოახმარონ ოქროს მენდლებს, რომელიც საჩუქრად მიეცემათ სახელმძღვანელოების შემდარებლებს ა და დამფასებლებს.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ ამიერიდგან თუ რომელისამე პროვინციის საზოგადო დაწესებულება მოინდომებს ელექტრონით განათების შემოღებას, უთუოდ სამინისტროს უნდა წარუდგინოს ხოლმე თავისი პროექტი დასამტკიცებლადაო.

— მთავრობას განზრახვა ჰქონია, მოსპოს კიახტიდგან ჩაის უბაჟოდ გამოტარება ირკუტსკის ტამოჟნაზე. თურქესტანის ვაჭრებს აქამდის უფლება ჰქონდათ, ჩაის სატამოჟნო ხარჯი არ ეძლიათ, მაგრამ ამიერიდგან ეს შეღავათი აღარ ექნებათ, მხოლოდ მაინც თურქესტანში კიდევ შეუძლიანთ ყოველ წლივ 15,000 ფუთი ჩაი ისევ უბაჟოდ შეიტანონ, სხვაგან წაღებულს ჩაის-კი ბაჟი გადაჰხდება. თურქესტანის ვაჭრები უჩივიან მთავრობას, რომ ეს განკარგულება უსაყიდლოდ დარჩება და უნდა გაუქმდესო, იმიტომ-რომ კონტრაბანდა გაზშირდება სემირეჩინსკის ოლქში, რადგანაც ზედ ჩინეთის საზღვარზე არისო.

— იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა იმის კანონები, თუ როგორ უნდა დაისაჯონ ხოლმე მკითხავები, მატყუარა ჩუმა-ექიმბაშები და სხვა ამ გვარის ხელობის მიმდევარნი. ვისაც ერთი-ერთს ამ ნაირს უკანონო და მავნე საქმეს შეუტყობენ, იმას გარდა, რომ სამართალში მისცემენ, კიდევ ცალკე საადმინისტრაციო წესითაც დასჯიან.

— წრეულს მარტში ვიღაც სუფთად და ფაქიზად ჩაცმული კაცი მისულა პეტერბურგის სასულიერო ცენზურის კომიტეტში და უთხოვნია, ნება მომეცით, ამდენი და ამდენი ცალი თხზულების წერილი დაბეჭდო და კავკასიის ქრისტიანობის აღმადგენელის საზოგადოებისათვის ფული შევაგროვოო თითონაც უთქვამს, რომ იმ საზოგადოების წარმომადგენელი ვარო, რაკი ცენზურისთვის წარსადგენ წერილის ერთი ცალი უკვე ნაბეჭდი ჰქონიყო, კომიტეტს ეფიქრა, რომ ამის ვინაობა სტამბას ეცოდინებაო, ბილეთი აღარ მოეთხოვა და ნება-რთვა ისე მიეცა 6,000 ცალის დაბეჭდვისა. წასულა ის ვითომ-და წარმომადგენელი ქრისტიანობის აღმადგენელის საზოგადოებისა და თავის საქმეს შესდგომია. ამ ვაჟბატონს სდომებია, რომ ციმბირის მადნების მწარ-

---

ლიან უყვარს ახალ-ახალის ვარდის მოწყვეტა; „სულიკოს“, მაგივრად „დუშიკოსა“ ჰხმარობს; ლილის მაგიერად „პუგვიცას“, უნაგირის მაგიერად „დამცკი ცედლოს“; პერანგის მაგიერად „რუბაშკას“; თმა ნაწნავებად ჩაიწან-ის მაგიერად—თმა „კოსად“ ჩაიწან და სხვანი ამ გვარნი, რომლის ჩამოთვლას მთელი წერილი მოუნდება. შვილებს თავის ძუძუს არ აწოვებს; ძიძას უყრია და გამშრალს ძუძუს ალაჯუნებინებს *); კაბას «დამცკი პარტნოის» აკერვინებს; ღვთის წინაშე ჩაის-კი თითონ აკეთებს და ძილითაც თითონ იძინებს. ჰო, მართლა ის-კი დაგვავიწყდა, გვეთქვა: მოკვდება, თუ დარჩება შვილი, ან ქმარი, არას დაგიდევს. რამდენი შვილი მისცემია, ან რამდენი ჰყავს ცოცხალი, ანგარიში არა აქვს, ძიძას ჰკითხეთ, ან საბრალო ქმარსა.

*) ეგ ერთი კარგი ღირსება ჰქონიათ, თქვენმა მზემ, თანამედროვე დარეჯანებსა, რომ თავის ძუძუს არ აწოვებენ შვილებსა. გეთაყვა ამას ცოდვად ნუ ჩაუთვლით: რძესთან ძუძუდამ ვაი თუ თქვენგან ჩამოთვლილი უმსგავსება ჩააწოვონ და რაღა გვეშველება. ისევ ძიძა, გენაცვა, ისევ!

შენიშვნა ასოთ-ამწყობისა.

*) ამას წინად „ივერიის“ ერთ-ერთს ნომერში აწერილი იყო ბ-ნ „მეთვალყურის“ მიერ ვიღაც ბაკურციხელი გლეხი ბაგრატა, რომელიც წარსულს წელში წამლობის ნებას არ აძლევდა თავის ვენახში აგრონომს ბ-ნ ინანაშვილს.

უწინდელი დარეჯანი ადრე დგებოდა, სახლს ყურს უგდებდა, ქმრის ერთ-გულობასა და ერთ-სულობაში ჰლევდა სიცოცხლეს; თვალ-წარბში შესცქეროდა, რა იამება, რომ ვაამო, რა ეწყინება, რომ არ ვაწყენინოვო. თუ აწყენინებდა როგორმე, გულით შეინანებდა და გულ მართლად ბოდიშს მოიხდიდა. თანამედროვე დარეჯანი-კი გვიანა დგება; სახლი მინებებული აქვს ბიჭებსა და დიაცებზედ, ქმრის ერთ-გულობა და ერთ-სულობა სიცოცხლეს ურჩევნია; არ უყვარს, მხოლოდ-კი არა ჰსურს გულითა, რომ მოუკვდეს, რადგანაც დარეჯანი, ე. ი. პატრონი მოაკლდება.

ასეთია სწორედ ქეთევან იაკინთეს ასული, ანუ აპრილია მარტოვენა, თუ გინდ თანამედროვე დარეჯანა. როგორც მოგახსენეთ, საქმროები ბევრი გამოუჩნდნენ. ასე გასინჯეთ, აფიცრებიც-კი თრთოდნენ. ვინ დაიწუნებდა ლამაზსა, თხუთმეტის დღის მთვარესავით გაბადრულს, ლაზუა ჩიტსავით ეშხიანს და ცქრიალა ქალს, რომელსაც ზედ ზურგზედ ამოდენა მხითევიც ეკერა, როგორც დედის-ერთასა. ბევრნი სცდილობდნენ იმის შერთვას, მაგრამ დედამ აჯობინა—მაშინ ქეთოს ვინ რას ჰკითხავდა—შინ გაზრდილი აზნაური, ისიც დედის-ერთა, გაბრიელ ვახტანგის ძე ბზეწვიშვილი, კარგ მამულ-დედულიანი.

დაქორწილდნენ, შეუღლდნენ გაბრიელ და ქეთევანი. მამის სისხლი ქეთევანს მალე გამოაჩნდა: მოსწყინდა ქმარი; შინ ჯდომამა და უსაქმობამ ოცნება გაუცხოველა; დაჰქროდა იგი აქეთ-იქით და დაეძებდა ვისმე მსგავსსა თვისსა!

— ნეტავი შენ-კი გაბრიელი არ გერქვას, უთხრა ერთხელ ვითომ ალერსით თავის ქმარს და ყელში ფუნჩულა თავი ამოუცაცუნა.

— რას ამბობ, ქალო, უთხრა გაოცებით ქმარმა! შენის გულისათვის მეორედ ხომ ვერ მოვინათლები. მეც შემიძლიან გითხრა, ნეტავი შენ ქეთევანი არ გერქვას და ნინუცა გერქვას.

— დიახ, დიახ! ვინ მოგახსენა? ჩემი სახელი: ქეთე, ქეთეთო, ქეთევან, ეჰ, რა ლამაზი სათქმელია-და! მპა! და სამი თითი ჩაიკოცნა და შემდეგ ჰაერში ეშხიანად შეაპროწიალა.

— მაგ ლაპარაკს თავი დავანებოთ, რაც გვქვიან-გვქვიან, კონდაკში ეგ ამოუკითხნია მღვდელს და დაურქმევია, ახლა მე ხომ ვეღარ გადვირქმევ. შენ ერთი სადილი უბრძანე ჩქარა, რომ მინდორში მივეშურები, ღალები მაქვს დასათვლელი. რას შემამცქერიხარ, არშიყობა არ მოგწყინდა, აგერ მეორე შვილი გვყავს? გაბრიელმა ვეღარ გაუძლო ქეთევანის თვალების ცეცხლსა და ჩაჰკოცნა.

— იჰ, რა არის! ოფლიანი პირი გაქვს, მოიწმინდე მაინცა; წვერი სულ თავ-თავის ფხებითა გაქვს სავსე, და წაკოცნი ადგილი ხაიათის ხელსახოცით მოიწმინდა.

— ეგა ხართ ქალები, აი! ამ ოფლმა უნდა გვაცხოვროს, თორემ შიმშილით დავიხოცებით. მარტო ეკრეშენსავით გამოპრანჭვა კუჭს ვერ გაგვიძღობს, ჩქარა სადილი.

— მართლა, გაბრუში, სალამოზედ ქალები მოვლენ ლოტოზედ; ირაკლიც ჩამოვა თავის თარით.

— აი ქალაქელი „ფრანტი?“

— ჰო, ჰო, სწორედ ისა! რა კარგი რამ არის, რა ნაირ უკრავს თარსა და მღერის! თითქო ბულბული ჩასჯდომია ყელშიო, ისე არაკრაკებს, ღმერთო, ის რომ „მითხარ, მითხარს“ იტყვის, ქალებში ჟრუანტელი დავივლის და თვალთ დაბინდულდება ხოლმე.

— ეგრე უკრავს და იმღერის და ააშენებს ოჯახს.

— ჰა, სამსახურშია თურმე ქალაქში, ისევ მიდისო.

— სამსახურში მაგისთანა კაცს ვინ დააყენებდა; მთელი დღე მღერის, უკრავს და ქალების არშიყობაში ამოსდის სული. შინ მოვიდეს, კიდევ-და მაგისმა მზემ, ნაზუქის სუნი დაარჩობს აი!

— შენ ვისაც გადაეკიდები და ყბად აიღებ, ხომ ის არის, სთქვა უკმეხად ქეთევანმა.

ქეთევანს ირაკლი, ქალაქელი ფრანტი, ძალიან შეუყვარდა; ქოთანმა ივორა და სარქველი იპოვნაო. გაბრიელი სულ მუშაობასა და მამულში ტრიალით იღმევდა სულს, ირაკლი და ქეთევანი-კი ერთმანეთის არშიყობითა და სახლში გდებითა. როცა ირაკლი გვერდით არა ჰყავდა, ის დღე ქეთევანისათვის შავ ბნელი იყო. მაშინ ოცნებას მიჰმართავდა; თვალები გაუშტერდებოდა, ტახტზედ ლეში დაეგდო და სული და გული მისი დაფრინავდა მინდორ-ველად და თან დაჰქონდა სახე ირაკლისა; იგი აზრით ფარვანასავით თავს ევლებოდა ირაკლისა; ეხლა მოცლილი, უსაქმო კაცი და მიჰყვა ფატმანის ნებასა.

კვია

(შემდეგი იქნება)

მოებლები ჩაეთრია და ამიტომ ძებნა დაეწყო, იქნება შევხვდე ვისმეო. როცა თავის ღონით ვერას გამხდარა, პოლიციისთვის მიუმართავს და უთხოვნია, დამეხმარეთ, ციმბირელი ვაჭარი ვინმე მიპოვნეთ, ეს წერილები მიეცით და ფული შემიგროვებინეთო. პოლიციას მართლა ამოუჩენია დახმარება, უპოვნია ერთი ციმბირელი მადნის მწარმოებელი და ნახევარი ფულის შესაგროვებელი წერილები გადაუცია, დანარჩენი წერილები-კი, რადგან სხვა ველარავინ უნახავს და ვერც პატრონი მოუხელებია, აუღია და ტფილისში გამოუგზავნია ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებისათვის. ტფილისში ეს ამბავი გაოცებიათ და შეჰკითხებიან პეტერბურგის პოლიციას, ვინ არის ეგ კაცი, რომ ჩვენს წარმომადგენლობას ჩემულობსო. იქაც დაუწყიათ ძებნა იმ კაცისა, მაგრამ სად წასულა და სად არა, ველარაფერი ვერა შეუტყვიათ-რა. მხოლოდ, როცა იმის სახლი გაუჩხრეკიათ, თხოვნის წერილები და 20,000 მან. ფული უნახავთ და წამოუღიათ. ეს ვაჟბატონი ნიკიფორე ბოლოლიუბოვს ირქმევდა თურმე და, როგორც ხმები ისმის, მთელი გუნდი ჰყოლია თავის მსგავსის ხელობისა და რამდენიმე წელიწადი ხარკი ურთმევია საზოგადოებისათვის ვითომდა სამადლო და საქველმოქმედო საქმისთვის.

— რადომის მახლობლად, დაბა ედლინსკში, კვლავ გამოჩენილა ავადმყოფობა, რომელსაც სახელად „ნონნა“ ეწოდება. ეს ავადმყოფობა კაცს მაგრად და დიდხანს აძინებს, თითქო სალეთაარო. ამ ჟამად ამით ერთი ებრაელი ქალი არის თურმე ავად და ორ კვირაზე მეტია, რაც არ გამოუღვიძნია. ამას გარდა, სხვა არაფერი არ ჰქონია-რა, არც სიცხის მომატება სტყობებია და არც დაკლება.

## უცხოეთი

იტალია. ერთს იტალიელს დაუწერია საყურადღებო წიგნი სამთა მოკავშირე სახელმწიფოთა ჯარების შესახებ. ავტორი ამ წიგნისა ამბობს: 1882 წლიდამ 1887-მდე სამს მოკავშირე სახელმწიფოს: იტალიას, გერმანიას და ავსტრიას დაუხარჯავს სახელმწიფო საჭიროებათათვის 34 მილიარდამდე ფრანკიო. ამაში სამხედრო საჭიროებას მოჰხმარებია $7\frac{1}{2}$ მილიარდი. ცალკ-ცალკე რომ ავიღოთ ეს სახელმწიფონი, უხარჯნია უფრო მეტი მხედრობისათვის გერმანიასა და იტალიას. ავსტრიაში სახელმწიფო ხარჯი თითოეულ მცხოვრებელზე 274 ფრანკი მოდის დაახლოვებით, იტალიაში — 281, ხოლო გერმანიაში — 293 ფრანკი. სამხედრო ხარჯი ავსტრიაში სულზე 52 ფრანკია, იტალიაში 68, გერმანიაში 72. სამსავე მოკავშირეს ერთად ჰყავთ ჯარები სულ 5,151,000 კაცი, 653,000 ცხენი და 6,784 ზარბაზანი. ამ ჯარში 3,300,000 თოფ-ქვეშ არის მუდამ მზა, 1,803,000 ზურგის ჯარია, სათადარიგოდ გაწყობილი, 48,478 — ფლოტის ხალხია. ფლოტი უფრო ძლიერია იტალიისა და აქვს 176 ხომალდი, მერე გერმანიისა — 176 ხომალდი, ბოლოს ავსტრიისა 101 გემი. ჯარები-კი ამ სამში გერმანიას უფრო მეტი ჰყავს. ყოველ ას კაცში 51 გერმანიისაა, 28 — ავსტრიისა და 21 — იტალიისა.

საფრანგეთი. ამ მოკლე ხანში სამმა რომანების მწერალმა დასწერა რომანი საფრანგეთში და სამივეს დედაკაცის გული აქვს საგნად აღებული. აი ამ რომანების სახელები: „Trois Coeurs“, ჟ. როდისა „Notre Coeur“, გიუ-დე მოპასანისა და „Un Coeur de femm“, პოლ ბურჟესი. რასაკვირველია, უფრო საყურადღებო ეს მესამე რომანია; საყურადღებო არა შინაარსით, არამედ იმ ზედმიწევნილის გულთა-მხილაობით, რომელსაც იჩენს ყველა თავის რომანებში პოლ ბურჟე. პოლ ბურჟეს ამ მხრივ ტოლი არა ჰყავს საფრანგეთის მწერლობაში და მისი ფსიხოლოგიური ანალიზი, იმისი უნარი ადამიანის გულის წაკითხვისა სწორედ საკვირველია. ამ ხანად ახალს რომანში ბურჟე ადევნებს თვალს თავის გმირს ქალს მაღალის საზოგადოებისას. ეს ქალი ახალგაზდა, შეძლებული და ლამაზი ქვრივია, უყვარს ერთი, მაგრამ ამავე დროს მის გულში ჩნდება და ნელ-ნელა იზრდება სიყვარული მეორესი. აი ამ მეორე სიყვარულის გაჩენას, ზრდას და მის ბოლოს ჰხატავს ბურჟე თავის უკანასკნელს რომანში

ოსმალეთი. ოსმალეთის გაჩენაში, სწორედ ღმერთი არ ურევია: ხან საიდამ გამოუვარდება უსიამოვნება, ხან საიდამ. ერთს ძლივს გადივლებს თავზე, რომ მეორე იჭერს იმის ადგილს. ყველა იმას მისდგომია, ყველა იმას ემუქრება, ყველაში ბრალი და დანაშაული ის არის. ბოლგარიის საქმეში ის ურევია, მაკედონიის ეპისკოპოსების გამო ატეხილი დავიდარაბა მისი ბრალია, კრიტის კუნძულზე სისხლის-ღვრა შენ მოგვკითხებაო, სომხეთის არეულობა არზრუმში და სტამბოლში ხომ შენმა ზარმაცობამ და შენ მიერ ბერლინის ხელშეკრულობის აუსრულებლობამ გამოიწვიაო. ყველაზე საყურადღებო ეს სომხეთის საქმეა ეხლა ოსმალეთის ცხოვრებაში. ჯერ იყო და არზრუმში დიდი არეულობა მოხდა, ჯარი ჩაერია საქმეში, რამდენიმე ათი და ოცი სომეხი მოკლულ იქმნა, ასი და ორასი დაიჭრა და უფრო მეტი შეიპყრეს და დაპატიმრეს. ჯერ ეს საქმე არ გათავებულიყო, რომ თვით სტამბოლში ატყდა კაი-ვაგლახი. სომხთუბანში წირვაზე დამბაჩა ესროლა ერთმა ახალგაზდა სომეხმა შემოსილს პატრიარქს. ტყვიამ არა დააკლო-რა პატრიარქს, მაგრამ ხალხი-კი ამ გარემოებამ ძალიან აალელვა, თვით პატრიარქი დიდად შეშინდა, გაიქცა ეკკლესიიდამ და ერთს დუქანში შეაფარა თავი. ხალხი გამოეკიდა პატრიარქს, შემოერტყა დუქანს, დალეწა დუქნის ფანჯრები, გამოიყვანეს იქიდამ პატრიარქი აშიკიანი ქუჩაში და ახლა აქ ატყდა ერთი ალიაქოთი. მოვიდა ჯარი და ჟანდარმები და, თუმცა ჯარს სროლის ნება არა ჰქონდა, მაინც, როცა ხალხმა რევოლვერების სროლა დაიწყო, იმათაც ხელი გამოიღეს და ხიშტები მოიხმარეს. ამბობენ, ხალხი ასე უდიერად იმიტომ მოექცა თავის პატრიარქს, რომ მან გულგრილად მიიღო არზრუმის ამბები, არ ჩაუდგა პირში ოსმალეთის მთავრობას და საზოგადოდ არ ცდილობდა დაეყოლიებინა ხონთქარი სომხთა სასარგებლოდაო, თუმცა ზოგიერთი გაზეთები უარ-ჰყოფენ ამ გარემოებას.

### უფულოდ ვალის გასტუმრება

(პაწია ამბავი)

ეს ამბავი მე XVII საუკუნეში მოხდა. რუბენსი, რომელიც დიდად ხელოვანი კაცი იყო და ჯადოქარსავით ჰხატავდა, ამ დროს პარიჟში სცხოვრებდა, ხოლო მისი ქება და სახელი მთელს ქვეყანაზე ჯერ კიდევ ისე ძლიერ არ იყო მოფენილი. ბინა ერთს უბრალო სასტუმროში ჰქონდა, მარიამ მედიჩის სასახლის გვერდზე.

რუბენსი თავისებური კაცი იყო, ერთ გვარად, ერთს ყაიდაზედ ცხოვრება არ უყვარდა. ხან ბლომად ჰქონდა ფული და მდიდრულად სცხოვრებდა, ყოველს გვარს სიამოვნებასა და განცხრომაში იყო, ხან-კი სრულიად გაუთხელდებოდა ხოლმე ჯიბე და ქირასაც ველარ იხდიდა. სასტუმროს პატრონი აინუნშიაც არ იგდებდა, რომ რუბენსისთანა გენიოსი მხატვარი იმისას სცხოვრებდა. იმისთვის სულ ერთი იყო, გენიოსი და უგენიოსო, მხატვრობას არაფერს ფასს არა სდებდა და უბრალოდ დროს დაკარგვადა სთვლიდა. როცა ქირა დაუგვიანდებოდა, დაუყოვნებლივ გამოუცხადებდა ხოლმე რუბენსსა, დროზე მომეცი, ცდა აღარ შემიძლიანო. ილაჯი ჰქონდა რუბენს იმისაგან გაწყვეტილი. ერთხელ გულ-მოსული მოუვარდა სასტუმროს პატრონი და მკაცრად უთხრა, ამ საათში გამისწორდი, თორემ კარში გაგიძახებო.

რუბენსს გროში არა ჰქონდა. რა უნდა ექნა?

სასტუმროს პატრონი ისე იყო გახელებული, რომ აღარაფერი ესმოდა. ამ საათში, ეხლავე გამისწორდი, თორემ მეტი აღარ შემიძლიანო.

რუბენსმა რომ ველარაფერი აწამა-რა, ჩამოიღო კედლიდგან ერთი თავის მიერ ნახატი პატარა სურათი, მისცა მოსამსახურეს და ბარეთი გაატანა, ამა-და-ამ კაცთან მიდი და სამოც თუმნად მიჰყიდეო. ოციოდე წუთს შემდეგ მოსამსახურე უკანვე დაბრუნდა და ამბავი მოუტანა, ორმოც თუმანზედ მეტს არ იძლევაო.

რუბენსი აენთო სიბრაზით, მოჰკიდა სურათს ხელი და სულ ლუკმა-ლუკმა აქცია.

— ჩემი ნახატი ორმოცი თუმანი! შესჭყივლა გულ-მოსულმა რუბენსმა. ეს ხომ თავის მოჭრაა, სირცხვილი, მასხარად აგდება!

სასტუმროს პატრონი გაკვირვებული უცქეროდა ამ ამბავსა და ვერ მიმხვდარიყო, რაზედ ჯავრობდა რუბენსი, რად მოსდიოდა გული და რისთვის დაფხრიწა სურათი. თითონაც გაბრაზიანდა და შეუყვირა:

— სისულელე არ არის, რომ რადაც უბრალო ნათხუპნში ორმოც თუმანს გაძლევენ და ხელსაც არა ჰკიდებ? როგორც გინდა მოიქეც, მაგრამ მე-კი მოცდა არ შემიძლიან, ეხლავე უნდა გამისწორდე.

რუბენსი მწარედ გაშმაგებული ატრიალებდა ხელებს ჯიბეებში, რადგან ჰხედავდა, რომ სასტუმროს პატრონი აღარა სცხრებოდა და გაგდებას უპირებდა, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, იმან იქ ვერა მოიხელა-რა. ბოლოს მოუბრუნდა, შეჰფიცა, რვა დღის შემდეგ გაგისწორდებიო, და ისე სწრაფად გასწია თავის ოთახისკენ, რომ პასუხი არც-კი გაუგონია.

იმ რვა დღის განმავლობაში რუბენსი თითქმის სულ შინ იყო, კარზე იშვიათად გამოდიოდა და თუ გამოვიდოდა კარებს დაუკეტავს არა სტოვებდა. ვადა რომ გავიდა, წამოავლო თავის ნივთებს ხელი, გამოვიდა კარებზე და სასტუმროს პატრონს დაუძახა:

— აი, მე ჩემი სიტყვა შევასრულე. აგერ ფულები სტოლზე აწყვია, მიიღეთ თქვენი მართებული და მშვიდობით!

რუბენსმა გამოსწია და ისე ამაყად და ამპარტავნულად გამოვიდა იმ სტუმარ-უპატივცემულო სასტუმროდგან, თითქოს იმის პატრონი დიდად დაასაჩუქრაო.

სასტუმროს პატრონი რუბენსის ოთახისაკენ გაეშურა და, შეაღო თუ არა კარები, მაშინვე სიხარულის ალმა გადაჰკრა პირისახეზე. იმდენი ვერცხლისა და ოქროს ფული ელაგა სტოლზე, რომ დანახარჯზე გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო; თვალებმა ზიმზიმი დაუწყო, ტუჩებზე ღიმილმა გადურბინა, გულმა ფანცქალი მორთო რადგან თითქმის დაკარგული ვალი ასე სარგებლიანად გაინაღდა, და მარდად გასწია სტოლისაკენ, რომ ჩაეჯიბა ოქრო ვერცხლი.

მაგრამ, დახეთ იმის გაოცებას, მიაკარა თუ არა ხელი ფულებს, თითქოს მხრები ჩამოსცვივდაო: არაფერი ოქრო და ვერცხლი არა დაჰხვდა-რა. იმედი გაუცრუვდა, სახტიკად მოტყუვდა და მოღორდა: ფულები დახატული იყო სტოლზე, სურათი იყო, მარტო სურათი!

გაცეცხლებული სასტუმროს პატრონი განჯინას ეცა, იქნება ტანისამოსი დარჩა რამე, რომ გავყიდო და ცოტაოდენს მაინც გამოვრჩე რასმეო, მაგრამ იქაც ის ამბავი დახვდა. დიდძალი ტანსაცმელი იყო, მაგრამ ისიც ნახატი და არა ნამდვილი. მოსაკიდებლად რომ მიიტანა ხელი, ცარიელის ფიცრების მეტი არა დახვდა-რა.

— ოჰ, ის თითხნია, ის მასხარა და მატყუარაო! ამის მეტი ველარა სთქვარა მოღორებულმა სასტუმროს პატრონმა.

მაგრამ ნუ გგონიათ, რომ რუბენსმა მართლა თავის სიტყვა არ შეასრულა. არა, ის სულ ნაღდად გაუსწორდა სასტუმროს პატრონსა, ცალი ფულიც არ შეურჩენია.

სასტუმროს პატრონს უნდოდა ყველა ნახატი წაეშალა, რომ რუბენსი აღარც-კი მოჰგონებოდა, მაგრამ ვერ მოახერხა; მთელი ოთახი უშნოვდებოდა, კედლებზე ნახატი ტანისამოსი რომ სულ აეჯხიკა. კედლის სურათები ისევ ხელ-უხლებლად დასტოვა და სტოლი-კი სხვენში აატანინა, რომ გულ-მოსასვლელად აღარ დაენახო ხოლმე დახატული ფულიო.

ეს ამბავი მალე მოედო მთელს ქალაქსა და ყველა იმის ხელობისანი თანაუგრძნობდნენ გულ-დამწვარს სასტუმროს პატრონსა. რუბენსის ოთახმა ისეთი სახელი გაიგდო, რომ ბევრი მოგზაური პარიჟში ყოფნის დროს იქ მოდიოდა და სცდილობდა, იმ ოთახში დაბინავებულიყო. სასტუმროს პატრონი-კი ყველას შესჩიოდა და უამბობდა რუბენსის სამარცხვინო საქციელს. ერთხელ ერთმა ინგლისელმა, რომელიც დიდი თაყვანის-მცემელი იყო რუბენსისა, უთხრა სასტუმროს პატრონს, მოიტა მე ვიყიდი, რაც რუბენსის ნახატი გაქვსო.

— დიდი ხანია, იმის ნათხუპნსა და ნაბღაჯნს თავიდგან მოვიშორებდი და სხვენში შევყრიდი, რომ კედელზე არ იყოსო. მაგრამ თუ გნებავთ, ერთი სტოლი-კი გდია მაღლა იმისევე ნათითხნი და ის წაიღეთო. ინგლისელმა იყიდა ის სტოლი და იმდენი მისცა, რამდენიც ზედ იყო დახატული. ამ ნაირად შეასრულა თავის დანაპირევი რუბენსმა.

ს. გძელიშვილი

## დეპეშა

26 ივლისი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა მოიწონა მხატვარ ჟუკოვსკისა და სამოქალაქო ხუროთ მოძღვარ სულთანოვის მიერ შედგენილი პროექტი მოსკოვში ასაგებ იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძეგლისა და ნება დართო, რომ ძეგლის აგებისათვის საჭირო მუშაობას ეხლავე მიჰყაოთ ხელი განსაკუთრებულის კომიტეტის ზედამხედველობითაო.

„Journal de St.-Pétersbourg-ი“ ლაპარაკობს მაკედონიაში ბოლგარიის ეპისკოპოსების დანიშვნის შესახებ და თან იმასაც დასძენს, რომ ეს განკარგულება ოსმალეთისა არ ესიამოვნათ საბერძნეთსა და სერბიაშიო. რაც შეეხება იმ ხმას, ვითომ რუსეთმა ამ საგნის გამო ნოტა გაუგზავნა ოსმალეთს და თავისი უკმაყოფილება გამოაცხადაო, გაზეთი ამბობს, რომ, ასე მოქცევა რუსეთისათვის სრულიად საჭირო არ იყო, რადგან ეს საქმე იმის ღირსებას არაფრით შეეხებოდაო. ოსმალეთის გამო ამბობს: ოსმალეთმა სახეში არ იქონია, რომ მაკედონიაში სხვა-და-სხვა ეროვნების მკვიდრი სცხოვრებს, და მეტად აჩქარდა დაკმაყოფილებას სტამბულოვის სურვილისას, რომელიც იმითი-კი არ არის გამოწვეული, რომ ვითომ-და ეკკლესიას გაუწიო სამსახურიო, არამედ იგი საპოლიტიკო აზრით თხოულობდა ეპისკოპოსთა დანიშვნას და ოსმალეთსაც არ უნდა გაეწია დახმარებაო. აი რუსეთის ელჩმა სტამბოლში ამ გვარად გამოსთქვა თავისი აზრი, ხოლო არავითარი ნოტა არ გადაუცია ოსმალეთის მთავრობისათვისაო.

იგივე გაზეთი სტამბოლის სომეხთა ეკკლესიაში მომხდარ არეულობის შესახებ ამბობს, რომ, რასა თქმა უნდა, ამბოხების გამომწვევთა საქციელს არავინ მოიწონებს, ხოლო, მეორეს მხრით, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ოსმალეთის მთავრობა სახეში იქონიებს სამართლიანს საჩივარს მშვიდობიან სომეხთა მკვიდრისას, იმ მკვიდრისას, რომელიც ყოველთვის ერთგული იყო ოსმალეთისაო.

ნიუ-იორკი. ვილაც კემლერი კაცის კვლისათვის ელექტრონით იქმნა დასჯილი სიკვდილითვე. ცუდის აპარატის გამოისობით იძულებულ შეიქმნენ სამჯერ ეხმარათ ელექტრონის ნაკადი. ყოველ ნაკადს შემდეგ ბრალდებული კიდევ სუნთქავდა. დასჯამ ბრალდებულისამ რამდენსამე წუთს გასტანა.

ბელგრადი. პრინცმა ფერდინანდ კობურგელმა გამოაცხადა, რომ დავბრუნდი მხოლოდ იმ პირობით, თუ უმაღლესი თანამდებობანი ავსტრიის აფიცრებს მიეცემათო. სტამბულოვი თანახმაა; აფიცრები უკმაყოფილონი არიან.

ბერლინი. სამკურნალო კონგრესზედ 7056 ბილეთია დარიგებული; რუსეთის წარმომადგენლად 421 კაცია. შემდეგი კონგრესი 1893 წელს მოიყრის თავს რომში.

გერმანიის იმპერატორი რუსეთში ცხრა დღეს დაჰყოფს. იმპერატორის ამალტაში სულ 10 კაცია.

შანხაი. ჯარის-კაცთა ბრბომ ლუტაეში რკინის გზა დაანგრია იმ მიზეზით, რომ მაგის გამოისობითა ჩნდება წყალ-დიდობა. მთავრობა ამათ წინააღმდეგ ჯერ არაფერს აპირობს.

27 ივლისი

პეტერბურგი. რუსეთის ელჩი სტამბოლში ნელიდოვი მოვიდა პეტერბურგს.

«Гражданинъ»-ი იუწყება, რომ პეტერბურგში მალე დაიწყებს მოქმედებას ახალი საზოგადოება ზღვეისა და საქონლის გაგზავნ-გამოგზავნისა „Россiяминъ“-ი. საზოგადოების დამაარსებელნი რუსეთის ფულის პატრონები არიანო. თანხა საზოგადოებას $2^1/_2$ მილიონი აქვსო.

იგივე გაზეთი ამბობს, რომ ბუხარის ემირი ჰგზავნის თავის მიწა-წყლის სამზღვარზე საგანგებო დესპანთა კრებულს ფინანსთა მინისტრის ვიშნეგრადსკის მისაგებებლად. დესპანთა კრებულს დავალებული აქვს მიიწვიოს მინისტრი ემირთან.

პეტერბურგის ბირჟა, 24 ივლისი.

| | მყიდველი ხს. | გამყიდველი ითხოვს. | გაყიდულ იქნა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | „ | 6, $73^1/_2$ |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | „ | $134^3/_4$ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . | — „ | 1 11 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | $231^1/_2$ |
| —მეორისა . . . . | 215 | — „ | — „ |
| —მესამისა . . . . | 216 | — „ | $214^1/_4$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . | — „ | — „ | — „ |


# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ისტორია მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა,

შედგენილი მოსე ჯანაშვილის-მიერ.

ფასი წიგნისა 40 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

პატარა კახი

ისტორიული ხუთ-მოქმედებიანი დრამა ლექსად აკაკისა

ფასი 50 კაპ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას მოუვიდა მესამე და უკანასკნელი ნაწილი:

ქართული-რუსული

ლექსიკონი

დ. ჩუბინაშვილისა

ფასი 2 მან.

რული ლექსიკონი, ე. ი. სამივე ნაწილი ერთად ღირს 8 მან.


# ბ ა ლ ა ნ ს ი

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 1 მკათათვისათვის 1890 წლისა.

## ა ქ ტ ი ვ ი

| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| 1) ნაღდი ფული კასაში . . . . | 82,585 | 28 | | |
| გირაოს ფურცლებად . . . . . | 128,800 | — | | |
| კუპონების ახალ ფურცლებად . . . | 27,000 | — | | |
| გასაუქმებელ გირავნობის ფურცელთა ძველ ტალონებად . . . . . | 1,142,100 | — | 1,380,485 | 28 |
| 2) მიმომდინარე ანგარიშებზე: | | | | |
| ა) სახელმწიფო და კერძო ბანკებში . | 146,479 | 19 | | |
| ბ) კორრესპონდენტებთან . . . . | 61,869 | 94 | 208,349 | 13 |
| 3) მიბარებულობა: | | | | |
| ა) საწევრო ფული ტფილისის ურთიერთ შორის ნდობის საზოგადოებაში . . . . . . . . . | — | — | 60 | 57 |
| 4) ბანკის სარგებლიანი ქაღალდები: | | | | |
| ა) სახელმწიფო და მთავრობის გარანტიის ქაღალდები, შენახულნი სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში 143,900 . . . . | 133,543 | 24 | | |
| ბ) სხვა სარგებლიანი ქაღალდები 126,800. . . . . . . . | 124,587 | 79 | | |
| გ) კორრესპონდენტებთან 64,900. . | 65,600 | 50 | 323,731 | 53 |
| 5) დიდ-ვადიანი სესხნი, რომელნიც გაცემულნი არიან ბანკის 28 მაისის 1874 წ. წესდების ძალით: | | | | |
| ა) მამულის გირაოზე $54^1/_2$ წლით. | 386,000 | — | | |
| ბ) მამულის გირაოზე $43^1/_2$ წლით. | 324,400 | — | | |
| გ) ქალაქის უძრავ ქონებაზე გირაოდ $27^1/_2$ წლით . . . . . . . | 304,500 | — | | |
| დ) ქალაქის უძრავს ქონებაზედ გირაოდ 18 წლითა და 7 თვეით. . . | 300 | — | 1,015,200 | — |
| 6) დიდ-ვადიანი სესხნი, რომელნიც გაცემულნი არიან ბანკის 17 თებერვლის 1881 წ. წესდების ძალით გირაოდ მიღებულს მამულზედ ურთიერთ შორის თავდებობის ქვეშ: | | | | |
| ა) მამულის გირაოზე $43^1/_2$ წლით. . | 1,747,050 | — | | |
| ბ) ქალაქის უძრავ მამულის გირავნობაზე $27^1/_2$ წლით. . . . . | 5,441,250 | — | 7,188,300 | — |
| 7) სესხნი, რომელნიც გასაცემად არიან დანიშნულნი: | | | | |
| ა) მამულის გირაოზე $43^1/_2$ წლით. | 15,700 | — | | |
| ბ) ქალაქის უძრავ ქონებაზე $27^1/_2$ წ. | 275,200 | — | 290,900 | — |
| 8) გადასახადი, რომელსაც ჰქონდა შეღავათი (§ 13 წესდებისა): | | | | |
| ა) დიდ-ვადიანს სესხზე . . . . | 296,523 | 56 | | |
| ბ) მცირე-ვადიანს სესხზე. . . . | 5,095 | 99 | 301,619 | 55 |
| 9) ვადა გასული შემოსატანი ფული. . | — | — | 39,374 | 34 |
| 10) მცირე-ვადიანი სესხნი . . . . | — | — | 198,096 | — |
| 11) გირაოს ფურცლები საკომისიოდ მიღებულნი . . . . . . . . | — | — | — | — |
| 12) დასაბრუნებელი ხარჯი . . . . | — | — | 177,121 | 08 |
| 13) ვადამდე გადახდილი კუპონები . . | — | — | — | — |
| 14) 5% სახელმწიფო გარდასახადი კუპონებზედ . . . . . . . . | — | — | — | — |
| 15) ხარჯი: | | | | |
| ა) ბანკის მოწყობისათვის . . . | 2,775 | 70 | — | |
| ბ) ბანკისავე გამგეობისათვის . . . | 24,052 | 90 | 26,828 | 60 |
| ბალანსი | | | 11150066 | 08 |

## პ ა ს ს ი ვ ი

| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| 1) ძირის ფული: | | | | |
| ა) დიდ-ვადიანის სესხისათვის . . | 186,739 | 30 | | |
| ბ) მცირე-ვადიანის სესხისთვის . . | 161,137 | 99 | 347,877 | 29 |
| 2) სათადარიგო თანხა: | | | | |
| ა) სესხისა, რომელიც გაცემულია 28 მაისის 1874 წლის წესდების ძალით. . . . . . . . . | 27,328 | 87 | | |
| ბ) ურთიერთ შორის თავდებობით გაცემულ სესხისა . . . . . | 64,734 | 17 | 92,063 | 04 |
| 3) თანხა საზოგადო საქმეებისათვის. | | | — | — |
| 4) ზედამხედველის კომიტეტის ხელშია | — | — | 131 | — |
| 5) საყოველ-შემთხვევო თანხა . . . | — | — | 132 | 38 |
| 6) გირაოს ფურცლები დასახურდავებლად გაცემულნი 28 მაისის 1874 წლით წესდების ძალით: | | | | |
| $54^1/_2$ წლით . . . . . | 386,000 | — | | |
| $43^1/_2$ › . . . . . | 324,400 | — | | |
| $27^1/_2$ › . . . . . | 304,500 | — | | |
| 18 წ. და 7 თვეით . . | 300 | — | 1,015,200 | — |
| 7) გირაოს ფურცლები, რომელნიც გამოცემულნი არიან ურთიერთ შორის თავდებობით გირაოდ მიღებულ უძრავ ქონებათა: | | | | |
| $43^1/_2$ წლით . . . . . | 1,724,800 | — | | |
| $27^1/_2$ „ . . . . . | 5,419,000 | — | 7,143,800 | — |
| 8) გირაოს ფურცლები ტირაჟში გამოსულნი იმ ჟამისა, რა ჟამიც წესდების 89 § ძალით გადადებული იყო არავალდებულის თავნის გადახდისათვის. | — | — | 44,500 | — |
| 9) გირაოს ფურცლები, გამოსაცემად დანიშნულნი: | | | | |
| $43^1/_2$ წლით . . . . . | 15,700 | | | |
| $27^1/_2$ › . . . . . | 275,200 | | 290,900 | — |
| 10) გირაოს ფურცლები მობარებულნი. | — | — | 30,100 | — |
| 11) ვადამდე მოსასპ. დანიშნულნი სესხნი: | | | | |
| ა) გირაოს ფურცლებით. . . . | 35,300 | — | | |
| ბ) ნაღდის ფულით . . . . . | 1,414 | 37 | 36,714 | 37 |
| 12) ტირაჟში გამოსული გირაოს ფურცლები, ჯერ წარმოუდგენელნი გადასახდელად . . . . . . . | — | — | 174,250 | — |
| 13) გირაოს ფურცლების გადასახადი კუპონები . . . . . . . . | — | — | 252,391 | 60 |
| 14) სარგებლის ფონდი . . . . . | — | — | 245,226 | 28 |
| 15) თავნის გასასტუმრებელი ფონდი არაურთიერთ შორის თავდებობით გაცემულ სესხისა . . . . . . | | | | |
| $54^1/_2$ წლით . . . . . | 392 | 84 | | |
| $43^1/_2$ › . . . . . | 2,665 | 91 | | |
| $27^1/_2$ › . . . . . | 6,956 | 47 | | |
| 18 წ. და 7 თვეით . . . | 50 | 06 | 10,065 | 28 |
| 16) თავნის გასასტუმრებელი ფონდი ურთიერთ შორის თავდებობით: | | | | |
| $43^1/_2$ წლით . . . . . | 6,482 | 15 | | |
| $27^1/_2$ › . . . . . . | 60,266 | 75 | 66,748 | 90 |
| 17) თავნის გასასტუმრებელი ფონდი არასავალდებულო გადასახდელად იმ გირაოს ფურცლებისა, რომელნიც ურთიერთ შორის თავდებობის პირობით არიან გამოცემულნი. | — | — | 25 | 62 |
| 18) გარდამავალნი ჯამნი: | | | | |
| ა) ნაღდის ფულით . . . . . | 34,719 | 08 | | |
| ბ) გირაოს ფურცლებით. . . . | 63,400 | — | | |
| გ) სახელმწიფო სარგებლიანის ქაღალდებით. . . . . . . . | 800 | — | 98,919 | 08 |
| 19) კორრესპონდენტები . . . . . | — | — | — | — |
| 20) მსესხებელნი . . . . . . | — | — | 644 | 22 |
| 21) ფონდი დასაფასებელ და სხვა ხარჯებისათვის . . . . . . . | 76,534 | 77 | | |
| 22) მოკლე-ვადიანი სესხთა სარგებელი. | 6,415 | 35 | | |
| 23) ჯარიმა . . . . . . . | 14,263 | 51 | | |
| 24) სხვა და-სხვა სარგებელი. . . . | 33,648 | 41 | 130,862 | 04 |
| 25) კუპონის ახალი შესაცვლელი ფურც. | 27,000 | — | | |
| 26) ძველი გასაუქმებელი ტალონები . | 1,142,100 | — | 1,169,100 | — |
| 27) 5% სახელმწიფო გადასახადი კუპონებზე . . . . . . . . | — | — | 414 | 98 |
| ბალანსი | | | 11150066 | 08 |

თავმჯდომარე ბანკის მმართველობისა თ. ი. გ. ჭავჭავაძე

მმართველობის წევრნი: თ. გ. ი. თარხნიშვილი; თ. ი. გ. მაჩაბელი

ბუხჰალტერი თ. დ. ა. ფავლენიშვილი

Доз. ценз. Тифлисъ, 27-го Iюля 1890 г. Типо-Литографiя К. I. Месхiева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхiевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე